თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7065375

ნომერი: AR11034855

თარიღი : 14.05.2024

გაცემის თარიღი : 04.06.2024

გაცნობის თარიღი : 04.06.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, აბულის ქუჩა, N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ ეფრემიძე პ/ნ 01008050596
- თბილისი ქობულეთის ქ. N 3/15 ბ. 97

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 მაისის №7012950 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 14 მაისს №AR11034855 განცხადებით მომართა მარიამ ეფრემიძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 13 მაისის

№7012950 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 მაისის №7012950 ბრძანებით, №01.17.02.005.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2024 წლის 13 მაისის №7012950 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კომერციულ ფართობად 222.8 კვ.მ-ის ნაცვლად 184.6 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 2326.9 კვ.მ-ის ნაცვლად 2331.9 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 2342.4 კვ.მ-ის ნაცვლად 2303.0 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 1200.0 კვ.მ-ის ნაცვლად 1185.0 კვ.მ-ის, ავტოსადგომისა ფართობად 974.6 კვ.მ-ის ნაცვლად 941.5 კვ.მ-ის, აუზის ფართობად 81.1 კვ.მ-ის ნაცვლად 80.9 კვ.მ-ის, სასტუმროს ნომრების ფართობად 4331.8 კვ.მ-ის ნაცვლად 4293.0 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 11479.6 კვ.მ-ის ნაცვლად 11319.9 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული გეგმები და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები, ფართობების არასწორი დაჯამების გამო. ამასთან, შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ არქიტექტურული გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 მაისის №7012950 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 მაისის №7012950 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კომერციულ ფართობად დაფიქსირდეს 184.6 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 2331.9 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 2303.0 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 1185.0 კვ.მ., ავტოსადგომისა ფართობად - 941.5 კვ.მ., აუზის ფართობად - 80.9 კვ.მ., სასტუმროს ნომრების ფართობად - 4293.0 კვ.მ., საერთო ფართობად - 11319.9 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 მაისის №7012950 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 მაისის №7012950 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 მაისის №7012950 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.